2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრში განხორციელებული აქტივობების ანგარიში

2017-2018 სასწავლო წლის მერე სემესტრი საინტერესო სტუმრობით დაიწყო. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის "ეტალონის" ხელმძღვანელი ბატონი გოჩა ტყეშელაშვილი სკოლა "ანაბასისს" ესტუმრა და გასული სასწავლო წლის რაიონის "ეტალონ მოსწავლეს" ლუკა სამხარაძეს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

სასკოლო კლუბების მუშაობა:

1.იანვარში გაიმართა სკოლა "ანაბასისის" მკვლევართა კლუბის წევრთა შეხვედრა უმცროსკლასელებთან. პატარებმა ბევრი სახალისო და საინტერესო ცდების ჩატარებაში მიიღეს მონაწილოება და შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ თავიანთ კლასებში.

კლუბის კურატორი ქეთევან ედიბერიძე.

2. 2018 წლის 31 იანვარს სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბის წევრებმა საინტერესოდ ისაუბრეს მენდელეევის მიერ 1865 წლის 31 იანვარს დისერტაციის დაცვის თემაზე: „სპირტის წყალთან შეერთების შესახებ“.

პრეზენტატორებმა ლუკა სამხარაძემ და ალექსანდრე გრიგოლაშვილმა ასევე საინტერესოდ ისაუბრეს შემთხვევით აღმოჩენებსა და მათ მნიშვნელობაზე.

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე.

3. "ნუ მოკლავ არა მარტო რაღაცას ან ვიღაცას, ვინც უდანაშაულოა და საერთოდ არაფერს აშავებს, არამედ ნუ მოკლავ შესაძლებლობას იმისა, რომ დაინახო ვიღაცაში ადამიანი და ღირსება. შესაბამისად, ნუ მოკლავ ამ შესაძლებლობას, რომ თავად იყო ადამიანი"- ასე საუბრობდნენ ლიტერატურული კლუბის კარცერილუქსის წევრები, რომლებმაც საინტერესოდ წარმოადგინეს ჰარპერ ლის ერთადერთი რომანის "ნუ მოკლავთ ჯაფარას" პრეზენტაცია. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ პედაგოგები.

კლუბის კურატორი მარეხი ფორჩხიძე

4. ანაბასისში უკვე რამდენიმე წელია აღინიშნება 21 მარტი დაუნის სინდრომით დაავადებულთა მსოფლიო დღე .

კლუბი "ბიოს" წევრები წელსაც საინტერესო პრეზენტაციით წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე.

კლუბის კურატორი ბიოლოგიის პედაგოგი თამარ ბაქრაძე

5. დედაენის დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში ლიტერატურული კლუბის "კარცერი ლუქსი" მიერ მოეწყო პრეზენტაცია "ვკითხულობთ მხატვრულ ლიტერატურას", სადაც მსმენელთა წინაშე საინტერესოდ წარსდგნენ მერვე კლასის მოსწავლეები თ.ტალახაძე და ს.გოცაძე.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია,რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ პედაგოგებიც.პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე

6. 22 აპრილი დედამიწის საერთაშორისო დღეა!

სკოლა ანაბასისში არსებულმა სასკოლო კლუბებმა "მკვლევარები" და "ბიო" დედამიწის დღესთან დაკავშირებით მოაწყვეს კონფერენცია თემაზე

„დედამიწა ჩემი სახლია“,კონფრენციის დასრულების შემდეგ კლუბის წევრებმა დაარიგეს საინფორმაციო ბუკლეტები საზოგადოების ეკოცნობიერების ამაღლების მიზნით და სკოლის ეზოში მოაწყვეს გამწვანების აქცია, მათ დარგეს რამდენიმე მრავალწლოვანი მცენარე, რომლის მოვლაზე თავად აიღეს პასუხისმგებლობა.

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე

7. სკოლა ანაბასისში თამარობასთან დაკავშირებით ჩატარდა ინტელექტუალური თამაში "რა?სად?როდის?",გუნდები დაკომპლექტდა ტესტირებაში გამარჯვებული მოსწავლეებისგან.ტესტები შედგენილი იყო თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ შედგენილი კითხვებით.

თამაში საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.

პედაგოგი ნინო როინიშვილი.

საწრეო მუშაობები:

1.2018 წლის 20 იანვარს IIIა კლასში ჩატარდა საწრეო მუშაობა მათემატიკაში თემაზე:"რიცხვების წარმოდგენა სამკუთხა გროვებით". შესრულდა შესაბამისი დავალება,რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს გაუდვილდათ სამნიშნა რიცხვების ჩაწერა.

საწრეო მუშაობა საინტერესოდ წარიმართა.

პედაგოგი შორენა მუმლაძე

2.სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IV ა კლასში,2017-2018 სასწავლო წლის II სემესტრიდან დაიწყო საწრეო მუშაობა მათემატიკაში,სადაც განიხილება სხვადასხვა ამოცანები.

მოსწავლეებმა პირველ შეხვედრაზე ისწავლეს ნულებით დაბოლოებული რიცხვის ადვილი გამრავლება-გაყოფა, ნულების დამახსოვრება. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საწრეო მუშაობაში.

მასწავლებელი ჟანა ჭურაძე.

ღია გაკვეთილები:

1.ჰომეროსი...პირველი მასწავლებელი...

ქვეყნად არავის იმდენი მოსწავლე არ აღუზრდია,რამდენიც ბრმა აედს...ასე საუბრობენ VI კლასელები "ილიადასა" და "ოდისეას" ავტორზე.

პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე

2.2018 წლის 25 იანვარს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VIII კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ბიოლოგიაში თემაზე "ფილტვები, აირთა ცვლა", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

გაკვეთილის მიზანი იყო:

მოსწავლემ შეძლოს:

მასწავლებლის მიწოდებული ინფორმაციით, ვიდეომასალით, ტაბულებით და სქემებით ადამიანის სასუნთქი სისტემის მთავარი ორგანოების – ფილტვების აგებულების შესწავლა.

ამ ორგანოების ფუნქციების განსაზღვრა.

ფილტვებსა და ქსოვილებს შორის აირთა ცვლის პროცესების აღწერა,ფილტვების ამოცნობა ილუსტრაციაზე, მის აგებულებაზე მსჯელობა, ფილტვების, როგორც აირთა ცვლის მთავარი ორგანოს როლის გააზრება.

ახალი მასალის უკვე ნასწავლ მასალასთან (სისხლის მიმოქცევის სისტემასთან) დაკავშირება.

მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

პედაგოგი თამარ ბაქრაძე

3. "სწავლება გაჩერებებით"- ინოვაციური სამოდელო გაკვეთილი.

2018 წლის 1 თებერვალს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის X კლასში ჩატარდა ინოვაციური სამოდელო გაკვეთილი ქიმიაში თემაზე " ქიმიური რეაქციის სიჩქარე", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილის მიზანი : მოსწავლეები შეძლებენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სტრატეგიით სწორად განსაზღვრონ რეაქციის სიჩქარის მართვის პრინციპები, ჩაატარონ კვლევა უსათრთხოების წესების დაცვით, რეაქციის დამაჩქარებლების (კატალიზატორის) დადგენაზე .გამოხატონ დადებითი განწყობა ბუნების დაცვის აუცილებლობაზე.

სამოდელო გაკვეთილი ჩატარდა სწავლების დიფერენცირებული მიდგომით "სწავლება გაჩერებებით".

გაჩერება N1-ექსპერიმენტი;

გაჩერებაN2 - საინტერესო ინფორმაცია;

გაჩერება N3 - რეაქციის მართვის პრაქტიკული მაგალითები;

გაჩერება N4 - ვიდეოფილმი ,,კატალიზატორის მოქმედების მექანიზმი“.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე.

4. 2018 წლის 8 თებერვალს მე-9 კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემაზე-,, სამშობლო და მამულიშვილი ‘’ აკ.წერეთლის ,,განთიადის ‘’მიხედვით (მასწავლებელი ელისო ბერაძე), რომელსაც აკვირდებოდა სკოლის მასწავლებელთა შიდაშეფასების ჯგუფი.გაკვეთილის მიზანი იყო ლექსზე დაკვირვებით,წინასწარი ცოდნისა და გამოცდილების,მასწავლებლის მიერ თანმიმდევრულად შეთავაზებული სხვადასხვა აქტივობის დახმარებით მოსწავლეებს ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ სამშობლოსა და მამულიშვილის ცნება,ამოეცნოთ ლექსის მთავარი სათქმელი, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და განესაზღვრათ მათი ფუნქცია,დაედგინათ მწერლისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები,რომლებსაც დაუკავშირებდნენ პირად გამოცდილებასა და გარემომცველ სინამდვილეს.მოსწავლეებმა წარმოადგინეს მრავალფეროვანი თავიანთი ძალებით შექმნილი რესურსები და მხატვრული კომპოზიცია-,,მაინც რა არის სამშობლო?“იმუშავეს ჯგუფებში...

გაკვეთილმა მიაწია დასახულ მიზანს.

5. პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი ბიოლოგიაში.

2018 წლის 19 თებერვალს სკოლა ანაბასისის X კლასში ჩატარდა პრობლემაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი თემაზე: უჯრედში მიმდინარე კატაბოლიზმის (ენერგეტიკული ცვლის) პროცესი – უჯრედული სუნთქვა.

გაკვეთილის მიზანი იყო:

• მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ მიწოდებული მასალის დახმარებით შეისწავლონ უჯრედში მიმდინარე კატაბოლიზმის პროცესები.

• მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სახელმძღვანელოდან მასწავლებლის მიერ მითითებული ინფორმაციის მოძიება, შეფასება და გაზიარება; საუბარი უჯრედული სუნთქვის პროცესის თავისებურებების შესახებ.

• მოსწავლეებმა მასწავლებლის მიერ მიწოდებული პრობლემური სიტუაციური ამოცანის ანალიზისას უნდა შეძლონ პრობლემის იდენტიფიცირება, მიზეზების დასახელება და მისი გადაჭრის გზის დასახვა. მათ გამოუმუშავდებათ არგუმენტირებული მსჯელობისა და პრობლემის გადაჭრის უნარები, რასაც აქტიურად გამოიყენებენ რეალურ ცხოვრებაში.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემეცნებითი აქტივობებით. გაკვეთილზე პასუხი გაეცა პრობლემურ შეკითხვას:"იცით, რომ მცენარეები მართლაც ასუთავებენ ჰაერს, მათ მიერ გამოყოფილი ჟანგბადი კი სუნთქვას უწყობს ხელს?". გაკვეთილმა მიზანს მიღწია.

პედაგოგი თამარ ბაქრაძე.

6. 2018 წლის 16 თებერვალს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VI კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი რუსულში თემაზე "ზღაპრების სამყარო, ზღაპარი“თოვლია", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

გაკვეთილის მიზანი იყო:

მოსწავლემ შეძლოს:

შეთავაზებული ტექსტიდან “თოლია“ შეისწავლოს ახალი სიტყვები,გამოთქმები,ლექსიკური ერთეულები,შეადგინოს მათი გამოყენებით კითხვები და პასუხები რომელთაც წარმოადგენენ როლურ თამაშში.

პედაგოგი მარინა კაპანაძე.

7. 2018 წლის 28 თებერვალს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის III ა კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "ვიოლინო", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი შორენა მუმლაძე.

8. 2018 წლის 7 მარტს ანაბასისის I ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულში,რომელიც მიეძღვნა "ანბანის გაცილებას".

გაკვეთილი სახალისო და პოზიტიურ გარემოში წარიმართა.

პედაგოგი თამარ ვეფხვაძე.

9. 2018 წლის 7 მარტს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IX კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "საერთაშორისო დღესასწაული ‘’ დედის დღე ", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი ეკატერინე ჩაჩიბაია

10. 2018 წლის 28 მარტს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VI ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ისტორიაში თემაზე "გიორგი v ბრწყინვალე", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი ნინო როინიშვილი

11. 2018 წლის 30 მარტს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VII კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართულში თემაზე "ძალადობა ოჯახში ", რევაზ ინანიშვილის "ჩიტების გამომზამთრებელის" მიხედვით, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე

12. ინოვაციური მეთოდი "სწავლება გაჩერებებით" ქიმიის გაკვეთილზე მეათე კლასში,პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე.

გაკვეთილის თემა: ხსნარები, ქიმიური რეაქციები, ჩვენი ორგანიზმი.

გაკვეთილის მიზანი:მოსწავლეები შეძლებენ მასწავლებლის მიერ შეთავაზებული სტრატეგიით სწორად გადაჭრან პრობლემა დაგეგმონ და ჩაატარონ კვლევა , ხსნარების დამზადებაზე. გაანალიზონ და წარმოადგინონ მონაცები, მოახდინონ მიწოდებული ტექსტისა და ვიდეორგოლის ანალიზი, ლაბორატორიაში მიმდინარე პროცესები დაუკავშირონ რეალურ ცხოვრებას, განივითარონ გამჭოლი კომპეტენციები რაოდენობრივი, ციფრული კომპეტენცია, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობის, პრეზენტაციის, დამოუკიდებელი მუშაობის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარი. 21- ე საუკუნის უნარები.

13. 2018 წლის 25 მაისს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IV ა კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი მათემატიკაში თემაზე "გამრავლებითა და გაყოფით უცნობი კომპონენტის პოვნა ", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი ჟანა ჭურაძე

14. 2018 წლის 28 მაისს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის VIII ა კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართულში თემაზე: სახე- სიმბოლო "ლურჯი ფრინველის" მიხედვით , რომელზეც დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე.

15. 2018 წლის 15 მაისს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის XII კლასში ჩატარდა ინოვაციური სამოდელო გაკვეთილი მათემატიკაში თემაზე:

როგორ შევამოწმოთ მოსწავლეთა მათემატიკური უნარები საშუალო საფეხურზე.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილის მიზანი :

მოსწავლეები შეძლებენ: მასწავლებლის მიერ შექმნილი სავარჯიშოების ბანკიდან შემთხვევით შერჩეული დავალებების გადასწყვეტად მსჯელობა დასაბუთებას, კომუნიკაციას , სხვისი ნააზრევის გაგება ,გაანალიზებას, მონაცემთა წარმოდგენას, მოდელირებას, პრობლემების გადაწყვეტას, დასკვნების ჩამოყალიბებას, არგუმენტირებულ მსჯელობას, თანამშრომლობას ჯგუფებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიზანმიმართულ გამოყენებას.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი დავით ლაბაძე.

16. 2018 წლის 29 მაისს სკოლა ანაბასისის Iა კლასში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი ქართულ ენასა და მათემატიკაში, რომლის მიზანი იყო მიღებული ცოდნისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების წარმოჩენა.

პედაგოგი მარინა ჭულუხაძე

17. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებსი სკოლა ანაბასისის IVბ კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი "მამული მიცოცხლე ღმერთო,ნაკურთხი მიწა და ცა!" ხელ-ლი:თეა გურაბანიძე.

18. დღეს ნინოობისა და ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით სკოლა ანაბასისის მეოთხე კლასების მოსწავლეებს სინტერესო და სახალისო აქტივობები ჩაუტარდათ და მათ დღე ლამაზ გარემოში გაატარეს. ფურცლებზე თავიანთი ლაღი სამყარო ცისარტყელას ფერებით გადაიტანეს. ასევე ლამაზი ნატვრები ნატვრის ხეს იმ იმედით შეაბეს , რომ მომავალში აუცილებლად აუხდებათ.

19. 1ივნისს სკოლა ,,ანაბასისის"მე-9კლასში ჩატარდა ინოვაციური ტიპის სამოდელო გაკვეთილი ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემაზე-:,,თებერვალმა დაგვიზამთრა მაისი“

(კ.ნადირაძის ლექსის,,1921 წლის 25 თებერვალი“ მიხედვით).პედაგოგი ელისო ბერაძე.

20. 2018 წლის 14 ივნისს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IV ა კლასში ჩატარდა გაკვეთილი მათემატიკაში თემაზე:სვეტოვანი დიაგრამა.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი ჟანა ჭურაძე.

21. 2018 წლის 14 ივნისს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IV ა კლასში ჩატარდა გაკვეთილი ინგლისურ ენაში თემაზე:ზღაპარი წითელქუდა.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი თამარ დავლაძე.

22. სკოლა "ანაბასისის" Vა და Vბ კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ გასვლითი გაკვეთილი ბუნებაში.ისინი იმყოფებოდნენ ზესტაფონში არსებულ პლასტმასის ბოთლების დამზადების მცირე საწარმოში, სადაც შემოტანილ ნედლეულზე ამზადებენ 0,5ლ,1ლ,2ლ,5ლ,10ლ და 20ლ ბოთლებს. აქვე ფუნქციონირებს ლიმონათების ჩამოსასხმელი საამქრო, სადაც მოსწავლეებმა ნახეს როგორ ხდება ლიმონათების ჩამოსხმა.

პედაგოგი რუსუდან გურგენაშვილი.

სხვადასხვა ღონისძიებები:

1. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე "ანაბასისში".

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოში 1 თებერვალს უკვე მესამედ აღინიშნება წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე! ღონისძიების ოფიციალური პარტნიორია საერთაშორისო ორგანიზაცია "Litworld".

ჩვენი სკოლა თავიდანვე აქტიურად გამოეხმაურა აღნიშნულ ინიციატივას სხვადასხვა აქტივობებით.ერთერთი ასეთი აქტივობის ფარგლებში სკოლის მოსწავლეები ბიბლიოთეკას ესტუმრნენ და იქ თავიანთი საყვარელი ნაწარმოებებიდან სასურველი მონაკვეთები ხმამაღლა წაიკითხეს.

2. წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე "ანაბასისში" სხვადასხვა საინტერესო აქტივობით აღინიშნა. ერთერთი აქტივობის ფარგლებში სკოლის წარჩინებული უფროსკლასელი მოსწავლეები შეხვდნენ უმცროსკლასელ მოსწავლეებს და წიგნთან მეგობრობის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ, შემდეგ კი მოსწავლეებმა თავიანთი საყვარელი ნაწარმოებებიდან წაიკითხეს მცირე მონაკვეთები და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები.

3. წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით VI ა კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი საყვარელი წიგნის პრეზენტაცია. მათ საინტერესოდ იმსჯელეს ნ.დუმბაძის მოთხრობაზე "ჰელადოსი" . ჩამოაყალიბეს საკუთარი მოსაზრებები ნაწარმოების გმირების ,მათი დადებითი და უარყოფითი თვისებებისა და ქმედებების შესახებ. მოსწავლეებმა პირადი მაგალითებიც მოიყვანეს და მსგავსი პრობლემების თავიდან აცილების გზებიც დასახეს.

პედაგოგი ნინო როინიშვილი

4. ანაბასისის 4გ კლასის მოსწავლეებმა წიგნის საჯაროდ კითხვის დღესთან დაკავშირებით მოიტანეს და განიხილეს ის ნაწარმოებები, რომლებმაც მათ მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. ისინი დიდი სიამოვნებით აცნობდნენ ერთმანეთს იმ ფრაზებს , რომლებიც ყველაზე საინტერესოდ მიაჩნდათ.

პედაგოგი ლია გუმბერიძე

5. საპროგრამო მასალის უკეთ გაცნობის მიზნით V კლასის მოსწავლეებს ბიბლიოთეკის გამგემ თამარ გვალიამ ბუნების გაკვეთილზე გააცნო ცნობილი ქართველი მოგზაურის რაფიელ დანიბეგაშვილის წიგნი " 18 წელი აზიის ქვეყნებში".

მოსწავლეებმა საჯაროდ წაიკითხეს ნაწყვეტები წიგნიდან და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები.

პედაგოგები რუსუდან გურგენაშვილი და თამარ გვალია

6. ხელოვნების გასვლითი გაკვეთილი ზესტაფონის სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში ...

2018 წლის 1 თებერვალს სკოლა ანაბასისის VII კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს თვითნასწავლი მხატვრის ზაზა წულუკიძის ლითონზე მხატვრული ჭედვის ნიმუშები. მოსწავლეები ყურადღებით ისმენდნენ შემოქმედის საუბარს და დიდი ინტერესით ეცნობოდნენ თითოეულ ნამუშევარს, რომლებმაც მათზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

გალერიაში სტუმრობა სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა.

ხელოვნების პედაგოგი ნანა გიორგაძე და კლასის ხელმძღვანელი მარინა ავალიშვილი.

7. დავითობა ანაბასისში.

სკოლა ანაბასისში უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულად აღინიშნება წმინდა მეფე დავით აღმაშენებელის ხსენების დღე - 8 თებერვალი(ძვ.26 იანვარი).

დავითობასთან დაკავშირებით სკოლაში გამოცხადდა კვირეული, რომლის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობები.

ანაბასისის III ბ კლასში პედაგოგ ლეილა გიორგაძის ხელმძღვანელობით მოეწყო ნახატების კონკურსი "ვიმოგზაუროთ დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში",პატარებმა საინტერესოდ წარმოგვიდგინეს ძლევამოსილი მეფის დროინდელი ეპოქა. მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრებით კლასში მოეწყობა საპრეზენტაციო კუთხე.

8.დავითობა -სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე.

დავითობასთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში სკოლა ანაბასისში ჩატარდა ტესტირება, რომელშიც აქტიურად ჩაერთო სკოლის ყველა კლასი. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი დავითის დროინდელ საქართველოს ისტორიას და უპასუხეს კითხვებს ძლევამოსილი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.თითოეული კლასის საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლეებისგან დაკომპლექტდება ინტელექტუალური გუნდი. გუნდები მონაწილეობას მიიღებენ საფეხურების მიხედვით გამართულ ინტელექტუალურ თამაშში.

9. ინტელექტუალური კონკურსი V-VI კლასის მოსწავლეებს შორის.

დავითობასთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში სკოლა ანაბასისში ჩატარდა ტესტირება, რომელშიც აქტიურად ჩაერთო სკოლის ყველა კლასი. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი დავითის დროინდელ საქართველოს ისტორიას და უპასუხეს კითხვებს ძლევამოსილი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.თითოეული კლასის საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა ინტელექტუალური გუნდი. გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ თამაშში.

ინტელექტ-კლუბი - "რა ? სად? როდის?" ჩამოყალიბდა სკოლა „ანაბასისის“ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ 03/10/2012 წ-ს;

კლუბის მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება ინტელექტუალური თამაშებით და მათი ინტელექტუალური დონის ამაღლება;

თამაში ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.კითხვებს შორის შესვენებების დროს მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები პატრიოტულ თემაზე.

10. ინტელექტუალური კონკურსი VII-VIII კლასის მოსწავლეებს შორის.

დავითობასთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში სკოლა ანაბასისში ჩატარდა ტესტირება, რომელშიც აქტიურად ჩაერთო სკოლის ყველა კლასი. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი დავითის დროინდელ საქართველოს ისტორიას და უპასუხეს კითხვებს ძლევამოსილი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.თითოეული კლასის საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა ინტელექტუალური გუნდი. გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ თამაშში.

კლუბის მიზანია მოსწავლეთა დაინტერესება ინტელექტუალური თამაშებით და მათი ინტელექტუალური დონის ამაღლება;

VII-VIII კლასის მოსწავლეებს თამაში მეცხრე კლასის ინტელექტუალებმა მარიამ ჭანტურიძემ,მარიამ ძოწენიძემ და ლიზი სამხარაძემ ჩაუტარა.

თამაში ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.თამაშში აქტიურად ჩაერთო დარბაზში მყოფი მოსწავლეებიც.

11. სკოლა ანაბასისის IV კლასის მოსწავლეებს ინტელექტუალური თამაში მეცხრე კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ ქეთი ფანცხავამ ჩაუტარა.თამაში ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.

პატარები ორგანიზებულად და მოტივირებულად ჩაებნენ თამაშში და შესანიშნავად შესძლეს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა.

პედაგოგები თეა გურაბანიძე,ლია გუმბერიძე,ჟანა ჭურაძე.

12. სკოლა ანაბასისის მოსწავლეები საინტერესოდ მოემზადნენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილესა(26 მაისამდე 100 დღით ადრე ,16 თებერვალს სკოლა ანაბასისში დაიწყო ასდღიანი პროექტი"საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილემდე დარჩა 100 დღე ") და მეგობარი ქვეყნის ლიტვის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილისათვის, რომელიც ,16 თებერვალს აღინიშნება. მათ თავიანთი რესურსებით შექმნეს ორი მეგობარი ქვეყნის დროშები და კლასებში მოაწყვეს საპრეზენტაციო კუთხეები.

13. სკოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებული 100 დღიანი პროექტის ფარგლებში მეცხრე მეათე კლასის მოსწავლეების მიერ მოეწყო კონფერენცია თემაზე: "კონსტიტუციონალიზმის ისტორია საქართველოში" სამოქალაქო განათლების პედაგოგის თეა სამხარაძის ხელმძღვანელობით.

კონფერენციის ბოლოს მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები და დამოკიდებულებები ქვეყნის კონსტიტუციის არსსა და მნიშვნელობაზე.

14. სკოლა ანაბასისში „საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცხადებული 100 დღიანი პროექტის ფარგლებში დაწყებითი კლასის კათედრის მიერ მოეწყო ილია ჭავჭავაძის 180 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული

დიდი ქართველი მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დასაფასებლად და საზოგადოებაში მისი ღირებულებების უკვდავყოფის მიზნით.

15. საქართველოს დამოუკიდებლობის ასი წლის იუბილისადმი გამოცხადებული პროექტის ფარგლებში სკოლაში მოეწყო კინო ჩვენება "სატელეგრაფო ოკუპაცია".

გაიმართა დისკუსია ,რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ მასწავლებლები.

16. ინტელექტუალური თამაში , რომელიც მეოთხე კლასის მოსწავლეებს მეათე კლასის წარჩინებულმა მოსწავლე ნინო ტალახაძემ ჩაუტარა, ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.

პედაგოგები ლია გუმბერიძე,თეა გურაბანიძე,ჟანა ჭურაძე.

17. 5 მარტი · პროექტი "კინო სკოლაში" წარმატებით მიმდინარეობს "ანაბასისში".

ბულინგის პრობლემა მწვავედ დგას არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ, თუმცა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით თვალშისაცემი ცოდნისა და კომპეტენციის ნაკლებობაა. სახელმწიფოს სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული ბულინგის დამაზიანებელი ეფექტი, რამაც შესაძლოა გააუარესოს როგორც მსხვერპლის, ასევე სხვა მოსწავლეების მდგომარეობა.

ფსიქოლოგების თქმით, ბულინგი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობაა, რომელიც ბავშვის მიმართ თანაკლასელთა ან სხვა ჯგუფის მიერ ხორციელდება. მას საკმაოდ ცუდი შედეგი მოაქვს და ერთნაირად დამაზიანებელია, როგორც ბულერისთვის (განმახორციელებელი), ისე მისთვისაც, ვისაც ჩაგრავენ. მსხვერპლს, შესაძლოა, ტრავმა მთელი ცხოვრება გაჰყვეს და ბევრი ფსიქოლოგიური პრობლემა განუვითარდეს, მათ შორის, დეპრესია და ფსიქოსომატიკა (ფსიქოსომატურ დაავადებებს უწოდებენ ფიზიკურ ავადმყოფობებს და დარღვევებს, რომლის გამომწვევ მიზეზებსაც წარმოადგენს ემოციური დაძაბულობა). ხშირად, ბულინგს ახორციელებს ის, ვინც ოჯახში ძალადობის მსხვერპლია ან არასწორი აღზრდა აქვს მიღებული.

„ანაბასისში“ სისტემატიურად იმართება საუბრები, პრეზენტაციები, კინო ჩვენებები , დისკუსიები და სხვადასხვა სახის აქტივობები "ბულინგის პრევენციისა და ტოლერანტული კულტურის წახალისების" მიზნით.

სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის მოეწყო ფილმის - “საოცრება / Wonder“ -ჩვენება. ფილმის მთავარი გმირი ავგუსტი ჩვეულებრივი ბიჭია, რომელსაც უყვარს ვიდეო თამაშები, მის ძაღლთან ერთად სეირნობა, "ვარსკვლავური ომების" ყურება, დაიკოსთან ჩხუბი და შერიგება. მაგრამ ამავე დროს იგი ჩვეულებრივი ბიჭი არაა, მას არასოდეს უვლია სკოლაში . იგი გენეტიკური დეფორმაციით დაიბადა.

ფილმი დაფუძნებულია ნიუ-იორკ ტაიმსის ამავე დასახელების ბესტსელერი წიგნზე, "საოცრება" გვიამბობს გულისამაჩუყებელ და წარმოუდგენელი ინსპირირებით სავსე აუგუსტ პულმანის ისტორიას, ბიჭზე დაზიანებული სახით,რომელიც პირველად მიდის სკოლაში.

პატარა ბიჭი დაბადებული თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლით აღმოჩდება ახალ სკოლაში, სადაც იგი იძულებულია დაუმტკიცოს ყველას, რომ ის უბრალოდ ჩვეულებრივი მოსწავლეა და, რომ ნამდვილი სილამაზე – შიგნითაა...

ფილმის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა გამართეს დისკუსია და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი შეხედულებები. კლასები წარმოადგენენ პრეზენტაციებს ფილმიდან მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

პროექტის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა ფილმების ჩვენება აქტუალურ თემებზე სასწავლო წლის მანძილზე.

17. „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული” - ამ სიტყვების ავტორს ჯერ ლანძღავდნენ, შემდეგ მოკლეს, შემდეგ აკრძალეს და ბოლოს წმინდანად შერაცხეს. სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო დიდი ქართველი მწერლის, პოეტის, პუბლიცისტის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ღვაწლის დასაფასებლად და საზოგადოებაში მისი ღირებულებების უკვდავყოფის მიზნით გამართული პროექტის დასკვნითი ღონისძიება "ანაბასისში".პედაგოგი ლეილა გიორგაძე

18. ანაბასისში საჭადრაკო ტურნირი მოეწყო.პედაგოგი ვიოლეტა შეყილაძე

19. 23 მარტს სკოლა ანაბასისის მეოთხე კლასის მოსწავეებმა ერთად ნახეს ფილმი "საოცრება", რომელმაც შთაბეჭდილებებით აავსო ბავშვები. ჩვენების შემდეგ მათ განიხილეს ფილმი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანის ფიზიკურობაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი სულიერი სამყაროა. ისინი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ პატივი უნდა სცენ განსხვავებულ ადამიანს. მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა ადამიანს სიცოცხლის ხალისს უბრუნებს, რაც წარმატების საწინდარია

20. "კათარზისის" ბენეფიციარებისთვის სააღდგომო ნობათის შეგროვებაში ანაბასისელებმა წელსაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

21. 2 აპრილი საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღეა, ის ჰანს ქრისტიან ანდერსენის დაბადების დღეს აღინიშნება.

სკოლა "ანაბასისის" I კლასის მოსწავლეები (ხელმძღვანელი თამარ ვეფხვაძე) ესტუმრნენ სკოლის ბიბლიოთეკას ,სადაც გამოფენილი იყო მწერლის ნაწარმოებები ქართულ და რუსულ ენებზე. ბიბლიოთეკის გამგემ თამარ გვალიამ მოსწავლეებს გააცნო მწერლის ცხოვრება და შემოქმედება, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. ბავშვებმა წაიკითხეს მისი ერთ-ერთი ზღაპარი "ქალთევზა" და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები.

22. სააღდგომო საჩუქარი "ჩვენს ბებოებს" ანაბასისელებისგან, პროექტის "გავუთბოთ ერთმანეთს გულები" ფარგლებში, რომლის დევიზია:" ჩვენ ყველასთან მივალთ ვისაც ვჭირდებით". პროექტი უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ხორციელდება სკოლა "ანაბასისში" და მიზნად ისახავს დახმარების ხელი გავუწოდოთ და გული გავუთბოთ მათ, ვისაც ეს ძალიან სჭირდება.

23. დედაენის დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში,რომელიც დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებში ხორციელდება სკოლა ანაბასისის მეშვიდე კლასში მოეწყო პრეზენტაცია თემაზე "ჩვენ და ბასკები",მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ქართველების და ბასკების ურთიერთობების ისტორია.პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე.

24. საქართველოს დამოუკიდებლობის იუბილისადმი გამოცხადებული პროექტის ფარგლებში სკოლა ანაბასისში მოეწყო დოკუმენტური ფილმის ჩვენება-" 1989 წლის 9 აპრილი".

ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია,სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილის როლზე და მნიშვნელობაზე.

25. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ჩატარებულ საჭადრაკო ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ,,ანაბასისის''

26. "წყალი სიცოცხლეა"-ასე ეწოდება პროექტს, რომელიც ანაბასისის VII კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ეწვივნენ ზესტაფონის წყალსადენს,სადაც მიიღეს მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია.

პროექტი დასრულდა საინტერესო პრეზენტაციით.

ხელმძღვანელი ბიოლოგიის პედაგოგი თამარ ბაქრაძე

27. დედაენის დღე "ანაბასისში" საინტერესო აქტივობებით აღინიშნა.

28. ანაბასისის მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა მარიამ გრიგოლაშვილმა და რევაზ ფერაძემ კონკურს-ფესტივალ "იმერეთის ხმა-2018-ში" წარმატებები მოიპოვეს.

რეზიკო ფერაძემ დაიმსახურა რევაზ ლაღიძის სახელობის პრიზი და გალა კონცერტზე ანსამბლ ,,ჯავარდენთან" და ცნობილ საოპერო მომღერალ, ლაშა ნიქაბაძესთან ერთად წარმატებით შეასრულა დასკვნითი სიმღერა - რევაზ ლაღიძის ,,ჰიმნი ქუთაისს" !

მარიამ გრიგოლაშვილი, დასკვნითი კონცერტის მონაწილე , I ადგილის მფლობელი გახდა და დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრით!!!

პედაგოგი თეა მიქაბერიძე დაჯილდოვდა დიპლომით ,,წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის"!

29. ზესტაფონში ყოველწლიური სასკოლო ოლიმპიადა „ეკოლოგიკის“ პირველი ეტაპის პირველი ნაწილის პირველი შეჯიბრი გაიმართა.

ოლიმპიადაში სულ 26 სკოლა მონაწილეობდა. 19 აპრილს ერთმანეთს პირველობის გამოსავლენად 5 სკოლა შეხვდა და მათგან ანაბასისის სკოლამ გაიმარჯვა,მაგრამ სამწუხაროდ, დასკვნით ფინლურ ტურში ჩვენი სკოლის გუნდი თამაშს გამოეთიშა.

30. დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული სკოლა ანაბასისში ესეების კონურსით დასრულდა.მოსწავლეებმა დაწერეს ესე : "რა ენა წახდეს,ერიც დაეცეს".

ეს ჭეშმარიტება “შვილებთან” ბრძოლისას დიდ პოეტს, გრიგოლ ორბელიანს, დასცდა და ამ აზრის ქვეტექსტი, ეტყობა, არც გახუნდება. რა ენა წახდესო და, ჩვენს თვალწინ, კარგა ხანია, დაიწყო ჩვენი მშობლიური ენის წახდენა თავისივე ღვიძლი შვილების მოწადინებითა თუ მცდელობით.

დიდმა ნიკო მარმა ბრძანა: “ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა”. სწორედ ამ "მსოფლიო ენის" დაცვის მიზნით დედაენის კვირეულის ფარგლებში სკოლა ანაბასისმა წამოიწყო გამოწვევა "ვისაუბროთ მხოლოდ ქართულად!".

31.სკოლაში უკვე რამდენიმე წელია წარმატებით ტარდება მათემატიკის ოლიმპიადა,რომელშიც მონაწილეობენ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები.ოლიმპიადას წელსაც მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი ნორჩი მათემატიკოსები.პირველი ტური 28-29 აპრილს გაიმართა.

32. სკოლა ანაბასისის IV ბ კლასში ჩატარდა პროექტი "ჩვენ ვსწავლობთ ვეფხისტყაოსანს".მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს "საბავშვო ვეფხისტყაოსნის" შინაარსი შესაბამისი საზეპიროებით.

პროექტის ხელმძღვანელები პედაგოგი თეა გურაბანიძე და ბიბლიოთეკის გამგე თამარ გვალია.

33. სკოლა ,,ანაბასისის" პირველობა ჭადრაკში 8, 10 და 16 წლის მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის ძალზე დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში წარიმართა.მოჭადრაკეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი თამაშში.სკოლა ,,ანაბასისის'' საჭადრაკო პირველობაზე გამარჯვებული მოსწავლეთა დაჯილდოება მოხდა დიპლომებით.

პედაგოგი ვიოლეტა შეყილაძე.

34. 4 მაისი ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა. ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით სკოლა ანაბასისში მოეწყო აქცია,"სკოლა ანაბასისი" ბულინგის წინააღმდეგ

35. „მოსჩანს ,ამოდის მთვარე სამოთხის,ტყვია მიზანში მოსახვედრია,

თავისუფლება ისე არ მოდის,თავისუფლება ლომთა ხვედრია!“...

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სკოლა ანაბასისში განხორციელდა 100 დღიანი პროექტი,რომლის ფარგლებში მრავალი საინტერესო აქტივობა ჩატარდა.

2018 წლის 19 მაისს ზესტაფონის კულტურისა და შემოქმედების ცენტრში გაიმართა პროექტის დამაგვირგვინებელი საზეიმო ღონისძიება,რომლის ორგანიზატორები სკოლის დირექციასთან ერთად იყვნენ

თეა მიქაბერიძე-სკოლა ანაბასისის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი და გიორგი ქლიბაძე მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანელი.

36. საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სკოლა ანაბასისში განხორციელდა 100 დღიანი პროექტი,რომლის ფარგლებში მრავალი საინტერესო აქტივობა ჩატარდა , ერთერთი გახლდათ 2018 წლის 19 მაისს გამართული მათემატიკური კონფერენცია "ქართველი მათემატიკოსები და მექანიკოსები" ზუსტ და საბუნებისმეტყველო კათედრის ხელმძღვანელობით, რომელზეც მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი პროფესორი დავით ნატროშვილი, განათლებისა და მეცნიერების პროგრესისი პრეზიდენტი პროფესორი გელა ყიფიანი, პროფესორი დავით პატარაია -საქართველოს მექანიკოსთა კავშირის ვიცე პრეზიდენტი, პროფესორი ომარ ფურთუხია-თსუ მათემატიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე,პროფესორი შოთა ზაზაშვილი-ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკური დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე,პროფესორი ამირან აფციაური,პროფესორი ლევან გიორგაშვილი, პროფესორი ელიზბარ ნადარაია,პროფესორი ზურაბ ქვათაძე, პროფესორი ალექსანდრე კირთაძე, პროფესორი ნოდარ მახვილაძე, პროფესორი პეტრე ბაბილუა.

კონფერენციის ბოლოს გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ნომინაციაში "საუკეთესო პრეზენტაცია" გაიმარჯვეს მეთორმეტე კლასის მოსწავლეებმა ელენე ძაბირაძემ და თეონა მახათაძემ;

ნომინაციაში "საუკეთესო ოპონენტი" გაიმარჯვა მეათე კლასის მოსწავლე ავთანდილ მაღლაკელიძემ, ხოლო ჯიურის სიმპათია საუკეთესო ელექტრონული რესურსისთვის დაიმსახურა მეცხრე კლასის მოსწავლე ქეთი ფანცხავამ.

37. 22. 05. 2018 წელი. სენაკის VI ფესტივალზე ღირსეულად წარსდგნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები .

საპატიო დიპლომების მფლობელები გახდნენ: იოსებ ჩუბინიძე,ანასტასია ჯაფარიძე,მარიამ გრიგოლაშვილი,ლუკა ლელაძე და სკოლა ანაბასისის და სამუსიკო სკოლის შერეული გუნდი, რომლებმაც კონკურსის ორგანიზატორის, პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს!

ფესტივალის ჟიურის და მსმენელთა აღფრთოვანება გამოიწვია სკოლა ანაბასისის მეშვიდე კლასის მოსწავლის რეზო ფერაძის (საესტრადო ვოკალი, პედ. თეა მიქაბერიძე) გამოსვლამ. რეზიკო ,,ფესტივალის აღმოჩენა'' გახდა!!!

რეზიკო მიწვეულია ფესტივლის დახურვის გალა კონცერტზე 2018 წლის 25 მაისს, ქ.სენაკში.

ვულოცავთ ჩვენს მოსწავლეებს ასეთ აღიარებას და მადლობას ვუხდით მათ პედაგოგს: თეა მიქაბერიძეს მოსწავლეთა წარმატებულად წარმოჩენისათვის!

38. ანაბასისში გაიმართა მირზა გელოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო - "მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი" .ხელმძღვანელი მარეხი ფორჩხიძე.

39. სკოლა ანაბასისის VI კლასის მოსწავლეებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო გამართეს.

ხელმძღვანელები თამარ გვალია და ნინო როინიშვილი.

40. მხიარული სტარტები ანაბასისში ძალიან დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში წარიმართა.

ხელმძღვანელი კობა სვიანაძე

41. სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბების "ანაბასისის" და "ბიოს" წევრთა შეხვედრები დაწყებითი კლასების მოსწავლეებს შეხვდნენ და საინტერესო ცდები ჩაუტარეს მათ.

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე.

42. 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბმა განახორციელა პროექტი ,,სახალისო ექსპერიმენტები პატარებს!

პროექტის სამიზნე ჯგუფი - ბაღისა და სკოლის დაწყებითი კლასის აღსაზრდელები.

პროექტის მიზანი იყო: ბაღისა და სკოლის და დაწყებითი კლასების აღსაზრდელებისთვის მკვლევართა კლუბის წევრების მიერ იაფი რესურსებით ექსპერიმენტების ჩატარება.

სამიზნე ჯგუფის წევრების აქტიური ჩართვა ექსპერიმენტების განხორციელების პროცესში და გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეების აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ ინტერესის გაღვიძება.

კლუბის წევრების თანამშრომლობითი და საპრეზენტაციო უნარების განვითარება.

პროექტში ჩართულ ყველა წევრს განუვითარდება გარემომცვველ სამყაროზე ზრუნვის უნარ-ჩვევები.

მკვლევართა კლუბის პროექტი მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციას სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების საფეხურის მოსწავლეებში.

მკვლევართა კლუბის წევრების შეხვედრა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან საინტერესო ცდების ფონზე წარიმართა და საერთო დაინტერესება და აღფრთოვანება გამოიწვია.

კლუბის კურატორი ქეთევან ედიბერიძე.

43. 2017-2018 სასწავლო წელს სკოლა ანაბასისის მკვლევართა კლუბმა განახორციელა პროექტი ,,სახალისო ექსპერიმენტები პატარებს!

პროექტის სამიზნე ჯგუფი - ბაღისა და სკოლის დაწყებითი კლასის აღსაზრდელები.

პროექტის მიზანი: ბაღისა და სკოლის და დაწყებითი კლასების აღსაზრდელებისთვის მკვლევართა კლუბის წევრების მიერ იაფი რესურსებით ექსპერიმენტების ჩატარება.

სამიზნე ჯგუფის წევრების აქტიური ჩართვა ექსპერიმენტების განხორციელების პროცესში და გარემომცველი სამყაროს კვლევის, სიახლეების აღმოჩენისა და შეცნობის მიმართ ინტერესის გაღვიძება.

კლუბის წევრების თანამშრომლობითი და საპრეზენტაციო უნარების განვითარება.

პროექტში ჩართულ ყველა წევრს განუვითარდება გარემომცვველ სამყაროზე ზრუნვის უნარ-ჩვევები.

მკვლევართა კლუბის პროექტი მიზნად ისახავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციას სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების საფეხურის მოსწავლეებში.

მკვლევართა კლუბის წევრების შეხვედრა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან საინტერესო ცდების ფონზე წარიმართა და პატარების დაინტერესება და აღფრთოვანება გამოიწვია.

კლუბის კურატორი ქეთევან ედიბერიძე.

44. სკოლა ანაბასისის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა გოგი ქლიბაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო ქართული ფოლკლორის განვითარების ფესტივალში, რომელიც 2018 წლის 17 ივნისს გაიმართა და ლაურეატის წოდება მიენიჭა.

45. 22 ივნისს გაიმართა მეოთხე კლასის მასწავლებლის ლია გუმბერიძის ხელმძღვანელობით გადაღებული ფილმის "ბედნიერების მაძიებელნი" პრეზენტაცია, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

46. სკოლა ანაბასისის II ბ კლასის მოსწვლეებმა სასწავლო წელი საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით დაასრულეს.

სტუმრად ეწვივნენ ლიტერატურულ კაფეს და წაიკითხეს წიგნები, იმსჯელეს წაკითხულის ირგვლივ, ხატეს ასფალტზე, გაგრილდნენ ფანტანთან და სკოლაში დაბრუნებულებს ცეკვის ღია გაკვეთილი ჩაუტარდათ. წარმატებები მათ.

პედაგოგი ვერა ნებიერიძე.

47.მეოთხე კლასის დამთავრება ანაბასისის მოსწავლეებმა საინტერესო და ლამაზი ღონისძიებებით აღნიშნეს.პედაგოგები ლია გუმბერიძე,თეა გურაბანიძე,ჟანა ჭურაძე.

48. სკოლა ანაბასისში მათემატიკის შიდა სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება სასიამოვნო ვითარებაში წარიმართა. გამარჯვებულებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადასცა ბატონმა დავით ლაბაძემ და წარმატებები უსურვა მათ.

49. ხელოვნება სნეულებაა,რომლისგან გათავისუფლება ხდება,როცა შენს ჩანაფიქრს სასურათე სიბრტყეზე გადმოსცემ.არიან მოსწავლეები,რომლებიც ამ სნეულებისგან თავისუფლდებიან.ასეთები არიან VIII კლასის მოსწავლეები დავით გორგოძე და გიგა ბერაძე,რომელთა ნამუშევრების გამოფენას ორგანიზება გაუკეთა უნიჭიერესმა ქალბატონმა სკოლის ხელოვნების პედაგოგმა ნანა გიორგაძემ.

50. 2018 წლის 28 აპრილს სკოლა ანაბასისის მოსწავლე მომღერალთა გუნდმა "ანაბასისმა" მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნულ კონკურსში.

პირველი ტური გაიმართა ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის II სამუსიკო სკოლაში და გუნდი გადავიდა მეორე ტურში, რომელიც გაიმართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2018 წლის 12 მაისს. ანაბასისის მომღერალთა გუნდი წარმატებით წარსდგა კომპეტენტური ჯიურის წინაშე. შედეგები ცნობილია,ჩვენის სკოლის გუნდი საპრიზო სამეულში მოხვდა.

სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ედიბერიძემ მიულოცა მომღერალთა გუნდის წევრებს გამარჯვება და გადასცა მათ კონკურსის დიპლომები.

51. მოცეკვავეთა ანსამბლმა "ანაბასისმა“ გოგი ქლიბაძის ხელმძღვანელობით ჯანო ბაგრატიონის სახელობის პრიზი მოიპოვა ნომინაციაში "საუკეთესო ფოლკლორის წარმოდგენისათვის".

52. ქალბატონი მარინა ავალიშვილის შემოქმედებითი საღამო სასიამოვნო ვითარებაში წარიმართა და მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია.

53. 2018 წლის ივნისში სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში მოეწყო უფროსი მასწავლებლების პედაგოგიური კვლევების განხილვები.

1.თემა: „საბუნებისმეტყველო საგნებში – ქიმიასა და ბიოლოგიაში ექსპერიმენტებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენება X კლასის მოსწავლეების სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით“.ავტორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე

2.თემა: „წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის ხელშეწყობა მულტიმედიური რესურსების გამოყენებით“. ავტორი ელისო ბერაძე

3.თემა: „ წაკითხულის გააზრების პრობლემა და პრობლემის გამომწვევი მიზეზები დაწყებით საფეხურზე“. ავტორი ეკატერინე ჩაჩიბაია.

პედაგოგებმა წარადგინეს კვლევის ანგარიშები კოლეგებისა და შეფასების ჯგუფის წევრთა წინაშე, მიიღეს რეკომენდაციები. კვლევებმა დიდი დაინტერესება გამოიწვია კოლეგებში .

ყველა კვლევა შეფასდა დადებითად.

2017-2018 სასწავლო წელი დასრულდა პედაგოგიური საბჭოს სხდომით,სადაც პედაგოგებმა დადებითად შეაფასეს თავიანთი მუშაობა და დასახეს სამომავლო გეგმები.